საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2000
22/03/2023

2000-21-2-202303221639

შპს "ნეოპრინტს"
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზ. №44ა
ელ. ფოსტა: natiajincharadze445@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №719 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №067536 ოქმის შესაბამისად, საწარმოში ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დანადგარები (რომლებიც არ იყო გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით): **მუყაოს/ქაღალდის სატიხრე კედლების დასამზადებელი დანადგარი, ქაღალდის მილაკების დასამზადებელი დაზგა, სასაჩუქრე ბოთლების ჩასაწყობი ცილინდრის ფორმის ყუთების დასამზადებელი დანადგარი**. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განთავსებულია, **მუყაოს/ქაღალდის სატიხრე კედლების დამამზადებელი დანადგარი, ქაღალდის კუთხეების დასამზადებელი დანადგარი, ბრენდირებული ყუთების (ბოთლების ჩასაწყობი) დანადგარი,** რაც არ შეესაბამება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №067536 ოქმში მოცემულ ინფორმაციას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასაზუსტებელია საწარმოში განთავსებული დანადგარების რაოდენობის და განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია, ასევე, თითოეულ დანადგარში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული დანადგარების საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებული/დასამატებელი დანადგარები მცირე, მაგრამ დამატებითი ემისიების წყაროებია. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ

საწარმოს შემოწმებისას ჩატარდა ერთჯერადი გაზომვები, რომელშიც არ დაფიქსირდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე გადაჭარბება. თუმცა, ვინაიდან ერთჯერადი გაზომვის დროს დაფიქსირებული შედეგი შესაძლებელია არ ასახავდეს ფაქტობრივად არსებულ მდგომარეობას, აღნიშნული მონაცემების განხილვისა და ანალიზისთვის, საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია გაზომვების ჩატარების მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესახებ, ასევე გამზომი ხელსაწყოს საპასპორტო მონაცემები და ინფორმაცია მისი კალიბრაციის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო